საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დუმბაძე აკაკი აბდულას ძე

დუმბაძე აკაკი აბდულას ძე (დ. 16. VIII. 1940, სოფ. გეგელიძეები, ახლანდ. ქედის მუნიციპალიტეტი), მექანიკოსი. ტექ. მეცნ. დოქტორი (1994), პროფესორი (1997), საქართვ. საინჟინრო აკად. ნამდვ. წევრი (2005).

1966 დაამთავრა თსუ-ის მექანიკა-მათ. ფაკ-ტი – მექანიკის სპეციალობით. 1966–71 მუშაობდა საქართვ. მეცნ. აკად. მანქანათა მექანიკის ინ-ტში (პოლიმერების განყ-ბაში), 1972–94 – საქართვ. კ. ზავრიევის სახ. სამშ. მექანიკისა და სეისმომედეგობის ინ-ტის პოლიმერების ცოცვადობისა და ხანგრძლივი სიმტკიცის განყ-ბაში, 1994-იდან კი საქართვ. საავიაციო უნ-ტის სრული პროფესორია;

იყო ამავე უნ-ტში თვითმფრინავმშენებლობის კათედრის გამგე (1995–2005). დ-ის სამეცნ. კვლევები ეხება დრეკადბლანტი (კომპოზიტური) სხეულების მექანიკას, კერძოდ, თხელკედლიანი გარსული კომპოზიტური კონსტრუქციების ცოცვადობაზე და ხანგრძლივ სიმტკიცეზე გაანგარიშებას ცვლადი გარემო პირობების ზემოქმედების გათვალისწინებით.

დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000).

თხზ.: კომპოზიტური მასალების ცოცვადობა და რელაქსაცია, თბ., 2007.